ანგარიში

2023 წელი

პირველი კვარტალი

შესავალი..... 2 გვ.

სერტიფიცირება … .....2 გვ.

WWTG ……..... 3 გვ.

მარკეტინგული ღონისძიებები.....3 გვ.

ექსპორტი..... 5 გვ.

ხარისხის მონიტორინგი .....6 გვ.

ვენახების კადასტრის პროგრამა.....6 გვ.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა.....7 გვ.

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. , www.wine.gov.ge, E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

შესავალი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ძირითადი საქმიანობა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ღვინის ეროვნული სააგენტო შემდეგი მიმართულებებით მუშაობს:

- მევენახეობის განვითარება;
- ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები;
- ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- ქართული ღვინის ადგილწარმოშობების სისტემის განვითარება;
- ღვინის ლაბორატორიული კვლევა.

2023 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული საქმიანობიდან აღსანიშნავია:

ადგილობრივი ბაზრისთვის სერტიფიცირება

ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის გაძლიერების მიზნით, 2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისთვის განკუთვნილი, საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების სავალდებულო სერტიფიცირების შესახებ. შესაბამისი ცვლილებები „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში“ 2021 წელს განხორციელდა. ამ დრომდე, სავალდებულო სერტიფიცირება საექსპორტო პროდუქციას სრულად, ხოლო ადგილობრივ ბაზარზე მხოლოდ ადგილწარმოშობის ღვინოებსა და ჭაჭას ეხებოდა. აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით, 9 თებერვალს, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა და სურსათის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ზურაბ ჩეკურაშვილი ალკოჰოლიანი სასმელების სარეალიზაციო ქსელების წარმომადგენლებს შეხვდნენ და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისთვის განკუთვნილი, საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების სავალდებულო სერტიფიცირების საკითხები განიხილეს. ალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი ან რეალიზაციის განმახორციელებელი პირი, ადგილობრივ ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციისას, ვალდებულია იქონიოს პროდუქციის შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელსაც სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული ოქმის საფუძველზე გასცემს.

საქართველო ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) თავმჯდომარე ქვეყანა გახდა

13-14 მარტს, ბრიუსელში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) შეხვედრაზე, აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა საქართველოს, ერთი წლის ვადით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან გადმოეცა. WWTG-ს თავმჯდომარეობის უფლებამოსილების განხორციელებას საქართველო მიმდინარე წლის 1 მაისიდან შეუდგება. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი (WWTG) წარმოადგენს ღვინის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანებას და მისი წევრები საქართველოსთან ერთად, აშშ, არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ურუგვაი არიან. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღვინით ვაჭრობის გამარტივება, ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა ინფორმაციის გაზიარებისა და სავაჭრო ბარიერების მოსახსნელად ერთობლივი ქმედებების განხორციელების გზით. აღსანიშნავია, რომ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის თავმჯდომარეობა ყოველწლიურად, როტაციის პრინციპით იცვლება. საქართველო WWTG-ის 2014 წელს თავმჯდომარეობდა. აღნიშნულ პერიოდში მოხდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შეთანხმება და დოკუმენტების შემუშავება, რომლებიც ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ღვინით ვაჭრობის პროცედურებს ამარტივებს. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) მიერ საქართველოს ერთწლიანი თავმჯდომარეობის პერიოდი დადებითად შეფასდა. 2014 წლის აგვისტოში, თბილისში გამართულ WWTG- ს პლენარულ შეხვედრაზე მიღებულ დოკუმენტს, ღვინის შემადგენლობისა და პოტენციური დამაბინძურებლების ანალიტიკური მეთოდოლოგიისა და მარეგულირებელი შეზღუდვების შესახებ, ორგანიზაციაში დღესაც „თბილისის განცხადება" ეწოდება.

მარკეტინგული ღონისძიებები

„VinExpo Paris 2023“

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის 13 კომპანია, მსოფლიოს 52 ქვეყნის 3 ათასზე მეტ მწარმოებელთან ერთად, 12-13 თებერვალს მასშტაბურ გამოფენაში „VinExpo Paris“ მონაწილეობდა. საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „VinExpo Paris“, მსოფლიოს 52 ქვეყნის 3 ათასზე მეტმა მწარმოებელმა, საკუთარი პროდუქცია გამოფენის ათასობით ვიზიტორს გააცნო. VinExpo Paris-ზე, ტრადიციულად, თავს იყრიან ღვინის პროფესიონალები, იმპორტიორები და ექსპერტები

მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. გამოფენის პარალელურად, სადეგუსტაციო სივრცეში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინოები, რაც ხელს უწყოდა უფრო მეტი პროფესიონალი ვიზიტორის დაინტერესებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სადეგუსტაციო სივრცეში, 2022 წლის აშშ-ის საუკეთესო სომელიეს, ვალერია გამპერის (Valeria Gamper) მიერ წარმოდგენილი იყო „მეღვინეობა იყალთოს“ ღვინო „ქვევრის ქისი“.

„Foodex Japan 2023“

7-10 მარტს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანია იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში მიმდინარე კვებისა და სასმელების გამოფენაში „Foodex Japan 2023“ მონაწილეობდა. აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა იაპონიაში პროდუქციის პოპულარიზაციის, ბაზარზე შესვლის და დამკვიდრების, ასევე დისტრიბუტორი იაპონური კომპანიების მოძიების საუკეთესო გზას წარმოადგენს. „FOODEX JAPAN” 1976 წლიდან ტარდება და ის აზიაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გამოფენად ითვლება. „Foodex Japan“-ში ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს 2015 წლიდან ეძლევა მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. იაპონია ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის პირველი მასშტაბური წარდგენა 2014 წელს მოხდა. შემდგომ წლებში, ასევე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის კომპანიები მონაწილეობდნენ გამოფენებში „Foodex Japan“ და „Wine and Gourmet Japan“, მოეწყო იაპონელი ღვინის პროფესიონალებისა და მედიის წარმომადგენლების ტურები საქართველოში და ქართული ღვინის წარდგენა-დეგუსტაციები იაპონიის სხვადასხვა ქალაქში.

„Vinexpo New York“

8-9 მარტს, ნიუ-იორკში, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე „Vinexpo New York“ ქართული ღვინის მწარმოებელმა 26-მა კომპანიებმა საკუთარი პროდუქცია ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით წარადგინა. „Vinexpo New York“-ის მასშტაბის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა ღვინის ბაზრების დივერსიფიცირებისა და ექსპორტის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. „Vinexpo New York“-ში მონაწილეობით, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ, მსოფლიოს ღვინის ბაზარზე არსებულ ახალ ტენდენციებს და გამოწვევებს გაეცნონ, სავაჭრო პარტნიორები მოიძიონ ამერიკის შეერთებული შტატებში, რომელიც ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს და სადაც განსაკუთრებით

მაღალია ღვინის ხარისხის სტანდარტები და ქართული ღვინის საექსპორტო ფასი. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები ქართული ღვინის იმპორტიორებს, კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" და ადგილობრივი სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლებს („Amber Wine LLC", „Saperica", „Georgian House of Greater Washington") შეხვდნენ. შეხვედრებზე მხარეებმა ქართული ღვინის გაყიდვების ხელშეწყობის სტრატეგია განიხილეს, რომელიც აშშ-ში ქართული ღვინის პოზიციების გამყარებას ითვალისწინებს როგორც „ნიშურ" სეგმენტში, ისე სავაჭრო ქსელებში.

„ProWein-2023"

19-21 მარტს ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და ასოციაციის „ქართული ღვინო" ორგანიზებით, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში, გამოფენაში „ProWein-2023" ქართული ღვინის 25 კომპანია მონაწილეობდა. ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენაზე, სამი დღის განმავლობაში, განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო ქართულ სტენდთან. ღვინის პროფესიონალებს, მედიის წარმომადგენლებსა და გამოფენის სტუმრებს ქართული ღვინის დაგემოვნების და ქართველ მწარმოებლებთან საქმიანი მოლაპარაკებების გამართვის შესაძლებლობა ჰქონდათ. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა საქმიანი შეხვედრები გამართეს კომერციული სექტორის, მედიის და ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიების წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ გამოფენის „ProWein-2023" ფარგლებში, პრესტიჟული გერმანული მედია ჰოლდინგის „Meininger" სტენდთან, ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა, რომელსაც სომელიე და ღვინის ექსპერტი ინგე მაინცერი (Inge Mainzer) უძღვებოდა. ხოლო, კალიფორნიული ღვინოების სტენდთან, ქართული და კალიფორნიული ღვინოების ერთობლივი დეგუსტაცია ჩატარდა.

ექსპორტი

მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, მსოფლიოს 48 ქვეყანაში ექსპორტირებულია 19,5 მლნ ლიტრი ღვინო, ზრდა 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 25%-ია. ღვინის ექსპორტით მიღებული შემოსავალი გაიზარდა 22%-ით და 57 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება საქართველოში წარმოებულ სპირტიან სასმელებს, საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 5,4 მლნ ლიტრი, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 77% შეადგინა. სპირტიანი სასმელების რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა 27,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ზრდამ 66% შეადგინა.

ქართული ღვინის ხარისხი

საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურები ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლს რეგულარულად ახორციელებენ.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, სახელმწიფო კონტროლი და სახელმწიფო ზედამხედველობა, რაც საწარმოებში ღვინის ტექნოლოგიური პროცესის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს, 14 კომპანიაში განხორციელდა. აღებულ 58 ნიმუშზე მიმდინარეობს ლაბორატორიული კვლევები.

საანგარიშო პერიოდში, ინსპექტირება 30 კომპანიაში განხორციელდა, აღებული 125 ნიმუშიდან დარღვევა აღმოჩნდა 24-ში. უარი სერტიფიკატის გაცემაზე ეთქვა 9 კომპანიას. ამასთან ერთად, საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების „SGS“ და „Bureau Veritas” მიერ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ინსპექტირება 18 კომპანიის პროდუქციაზე განხორციელდა. აღებული 52 ნიმუშიდან დარღვევა აღმოჩნდა 1-ში. სერტიფიკატი გააუქმდა 1 კომპანიას. ინსპექტირების პროცესი სერტიფიცირებისათვის წარდგენილი ალკოჰოლიანი სასმელის ნიმუშის ლოტთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს.

პირველ კვარტალში, საექსპორტო ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, 68 დეგუსტაცია ჩატარდა. სულ შემოვიდა 2941 ნიმუში, აქედან 152 ნიმუში შეფასდა უარყოფითად.

საანგარიშო პერიოდში სულ გაცემულია 4740 სერტიფიკატი, აქედან 2976 შესაბამისობის სერტიფიკატი, ხოლო 1764 VI-1 სერტიფიკატია.

ვენახების კადასტრის პროგრამა

„მევენახეობის განვითარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის ფარგლებში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- განისაზღვრა მევენახეობის სამიზნე რეგიონები: იმერეთი, გურია, სამეგრელო და აჭარა;
- შემუშავდა სტრატეგია და ტაქტიკა ამ რეგიონებში საკადასტრო სამუშაოების შესრულებისათვის. გაწერილი იქნა განხორციელების გეგმა.

• სამიზნედ შერჩეულ ოთხ რეგიონში - იმერეთი, გურია, სამეგრელო და აჭარა - საკადასტრო სამუშაოების დაწყების პირველ ეტაპზე განხორციელდა სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ ვაჭარაძისა და კადასტრის სამმართველოს უფროსის დავით მაღრაძის შეხვედრები პრემიერ-მინისტრის რწმუნებულებთან და მათი აპარატის წევრებთან, ასევე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სადაც მიღწეული იქნა შეთანხმებები ერთობლივი ძალებით კადასტრის აგების შესახებ.

• განხორციელდა ვენახების კადასტრის შედეგების პრეზენტაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცინერებათა აკადემიის სექციაზე „ინოვაციები აგრარულ ტექნოლოგიებში“ და აკადემიის პრეზიდიუმზე, სადაც დადებითად შეფასდა გაწეული სამუშაო.

ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია

ღვინის ეროვნული სააგენტო აგრძელებს „ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სამეცნიერო პროექტს“, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს კვლევებს მევენახეობაში, მეღვინეობაში და მათთან დაკავშირებულ მომიჯნავე დისციპლინებში.

მიმდინარე კვარტლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

- დამუშავ გეგმა და განისაზღვრა ის პარტნიორი ინსტიტუტები და მეცნიერები, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას წლევანდელ კვლევებში. გაწერილი იქნა განხორციელების გეგმა.

- პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორ პატრიკ მაკგოვერნთან გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს ველური და კულტურული ვაზის ნიმუშებში ორგანული მჟავების შესწავლის შესახებ.

- ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომლებთან მიღწეულია შეთანხმება იქ დაცული ვაზის წიპწების რადიოკარბონული მეთოდით დათარიღების შესახებ.